პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# მებრძოლი გუშაგი

„ჩეკისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და სპეტაკი ხელები“.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

БОЕВОЙ СТРАЖ—ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 (2500) ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1970 წ. | გაზეთი გამოდის 1930 წლიდან. მისი პირველი სახელწოდება „წითელი მილიციელი“. ● | ფასი 4 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლენინის ოთახში

ლენინის ოთახი გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებისათვის პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს. დიდი ბელადის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ოთახი მოწყობილია შინაარსიანი ფოტოსურათებით, ფოტოალბომებით, რომლებიც ილიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ. ხელმძღვანელობამ შეიძინა ლენინის უკვდავი ნაწარმოებები, აგრეთვე საზღვარგარეთისა და საბჭოთა მწერლების ნაშრომები ბელადზე.

ლენინის ოთახში ყოველთვის არის ახალი ჟურნალ-გაზეთები. აი, დღესაც, შესვენებაზე შეკრებილი საქალაქო განყოფილების მუშაკები კითხულობდნენ გაზეთის ახალ ნომერს.

სურათზე: გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი, უფროსი ლეიტენანტი ი. ხაბელაშვილი განყოფილების მუშაკებს უკითხავს ახალ გაზეთს.

ფოტო მ. პეკელისისა.

## ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის

# ლენინური გამოხმაურება

## თბილისი — ულიანოვსკი

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, ამ ორიოდე წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა სახელო ინიციატივას — ჩვენი დედაქალაქის შინაგან საქმეთა ლენინის რაიგანყოფილების პირადმა შემადგენლობამ ლენინურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია დიდი ბელადის ქალაქის, ულიანოვსკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების კოლექტივი. მას შემდეგ ეს მეგობრობა დღითი-დღე მტკიცდება და ფართოვდება. განყოფილებები სისტემატურად უპატაკებენ ერთურთს გაწეული მუშაობის თაობაზე, უზიარებენ გამოცდილებას, აცნობენ ახალსა და მოწინავეს, რაც ხელს უწყობს მათ შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესებაში. შარშან ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკთა დელეგაცია მეგობრული ვიზიტით ეწვია ულიანოვსკელ კოლეგებს, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ამ ორი კოლექტივის დაახლოებას.

ულიანოვსკის შსს გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს წერილებს ამ ორ მეგობრულ კოლექტივს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, აშუქებს მათ მუშაობაში მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს, მიუთითებს იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც შეიძლება მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ლენინური შეჯიბრება, რომელსაც კარგახანია ჩაეყარა საფუძველი, სულ უფრო ფართოვდება და იზრდება. და დღეს, როდესაც უკვე მოახლოვდა დრო საბოლოო ანგარიშით წარსდგნენ ხალხის წინაშე ლენინური სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულების თაობაზე, ამ ორი რაიგანყოფილების მუშაკები სიამაყით უპატაკებენ ერთურთს ოპერატიულ-სამსახურებრივ და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში მიღწეულ წარმატებებზე.

ამ სასახელო წამოწყებას, იმედია, იხინი ლენინის იუბილის შემდეგაც გააგრძელებენ და მათი მუშაობა საბოლოო ტრადიციად იქცევა.

## „მგბ“-ის ოფიციალური განყოფილება

# მიგნებულობისა და ოპერატიულობისათვის

არაერთგზის ნასამართლევმა მიხეილ სანდროს ძე თანდილაშვილმა ქ. თელავში ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა. რის შემდეგაც მიიმალა და თავი აარიდა გამოძიებას. თელავის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მიიღეს ცნობა თანდილაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ და მის დასაკავებლად შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი განყოფილების უფროსის მოადგილის ა. ორჯოდაშვილის (ხელმძღვანელი) და უ. ქუმსიაშვილის შემადგენლობით. ოპერატიულ ჯგუფში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსმა ინსტრუქტორმა რ. გოგიაშვილმა. სათანადო ღონისძიებების გატარების შედეგად დამნაშავე თანდილაშვილი აყვანილი იქნა პატიმრობაში.

სწრაფი და უნარიანი მოქმედებისათვის, მიმალვაში მყოფი ბოროტმოქმედი პირის დაპატიმრებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით **მადლობა გამოეცხადათ:**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროს ინსტრუქტორს, მილიციის კაპიტან **რ. გ. გოგიაშვილს.**

შინაგან საქმეთა თელავის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მილიციის მაიორ **ა. ი. ორჯოდაშვილს.**

შინაგან საქმეთა თელავის რაიონული განყოფილების ინსპექტორს სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით, მილიციის უფროს ლეიტენანტ **უ. ს. ქუმსიაშვილს.**

* * *

მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ მხილებული იქნა შენიღბულად მომქმედი სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ სახელმწიფო ბანკის მაიაკოვსკის განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების და ამავე რაიონის პროფესიული სახანძრო ნაწილის ზოგიერთი მუშაკი. დამნაშავეთა ჯგუფმა ერთი წლის მანძილზე სახელმწიფოს 53300 მანეთის ზარალი მიაყენა.

შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკების ენერგიული მოქმედებისა და მოხერხებულად გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნენ დამნაშავე პირები. სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს — კაპანაძეს, ჯიხვაძეს და ჯაბიძეს სახალხო სასამართლოს მიერ 13-13 წლით, ხოლო გოქსაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა გამოვლინებისა და დროული ოპერატიული ღონისძიებების გატარებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადათ და ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ მაიაკოვსკის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი **ივანე ფილიპეს ძე მაჩიტაძე**, მაიაკოვსკის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი **ელგუჯა ივანეს ძე რობაქიძე** და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაიაკოვსკის სახელმწიფო სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი **ივანე თედორეს ძე ენდელაძე.**

## თბილისი — ვარშავა

ფართო და საინტერესო გაქანება ჰპოვა ინიციატივამ ლენინური გამოხმაურებისა ქ. თბილისის ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებასა და ქ. ვარშავის სამოქალაქო მილიციას შორის.

ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ და მათმა პოლონელმა მეგობრებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად აიღეს გადიდებული ვალდებულებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ აამაღლა მათი სამსახურებრივი საქმიანობის დონე. ახლა ეს კოლექტივები სისტემატურად უპატაკებენ ერთმანეთს მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებზე, საიუბილეოდ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, უზიარებენ გამოცდილებას. მოკლედ მოგითხრობთ იმაზე, თუ რით ცხოვრობენ ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები ამ დღეებში.

ბელადის 100 წლისთავისადმი მზადების დღეები გამოცხადებულია პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებისა და განყოფილების მუშაკების კულტურული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების დღეებად. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს სახალხო რაზმელებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, კომკავშირულ შტაბებთან და საზოგადოების ფართო ფენებთან — სწორედ ეს არის შინაგან საქმეთა ოქტომბრის რაიგანყოფილების დღევანდელი და მომავალი დღეების წარმატების საწინდარი.

მოხვდებით თუ არა ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, აუცილებლად იგრძნობთ საქმიანი აღმავლობის, სოციალისტური ვალდებულებების ყოველი პუნქტის ცხოვრებაში გატარებისა და დანერგვის ატმოსფეროს.

გადავაქციოთ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის რაიონად — ასეთია რაიგანყოფილების თითოეული თანამშრომლის სურვილი და გადაწყვეტილება.

რაიგანყოფილების თანამშრომლები მჭიდრო კონტაქტში იმყოფებიან თავიანთი რაიონის წარმოების მუშა-მოსამსახურეებთან. აწყობენ რეიდებს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ წარმოებისა და დაწესებულების აქტივისტები.

ამ დღეებში რაიგანყოფილების კოლექტივმა დაათვალიერა ლენინის მუზეუმი, ნახეს ფილმი „ლენინი პოლონეთში“, ემზადებიან გამოფენის გახსნისათვის, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეგობრობას.

განყოფილების თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ჩაატარონ საღამო. „ცისფერი ეკრანი“. ამ საღამოზე მოწვეული იქნებიან ოქტომბრის რაიონში მცხოვრები პოლონელები, სტუდენტები პოლონეთიდან, რომლებიც ჩვენს დედაქალაქში სწავლობენ, ომის ვეტერანები, ყოფილი მეომრები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოლონეთის განთავისუფლების საქმეში.

შინაგან საქმეთა ოქტომბრის რაიგანყოფილების კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ეს საღამო კინოფირზე აღბეჭდონ და პოლონელ მეგობრებს გადაუგზავნონ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებასა და ქ. ვარშავის სამოქალაქო მილიციას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება.

ნ. დოლიძე,
ჩვენი კორ.

## ვ. ი. ლენინის იუბილემდე დარჩა 70 დღე

## მოწინავეთა გალერეა

ღირსეულად ეწევიან ლენინის საიუბილეო ვახტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურისა და ქვედანაყოფების მუშაკები.

აი ზოგიერთი მათგანი:

ზემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ): ახალქალაქის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მილიციელი, უფროსი სერჟანტი გ. ბიჩახჩიანი, თელავის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ინსპექტორი, ლეიტენანტი კ. მარადაშვილი, საგარეჯოს შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, ლეიტენანტი ა. ოკინაშვილი.

ქვემოთ (მარცხნიდან მარჯვნივ): გორის შს რაიგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით ს. გორგიშელი, ბორჯომის შს რაიგანყოფილების მილიციელი, სასამსახურო ძაღლის გამყოლი, სერჟანტი გ. გოგალაძე, საქ. სსრ შსს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს ერთ-ერთი ქვედანაყოფის თანამშრომელი, უფროსი სერჟანტი ს. ხალვაში.

ფოტო მ. პეკელისისა.








## საიუბილეოდ

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ემზადება თელავის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების პირადი შემადგენლობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩატარდა ლექციები და საუბრები რევოლუციის დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რაიგანყოფილების ლენინის ოთახი გააფორმეს მდიდარი ფოტოსტენდებით, პლაკატებით, თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებებით. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პედკაბინეტმა (გამგე გ. ჯავახიშვილი) ლენინის ოთახს გადასცა ვ. ი. ლენინის ტომები, პედინსტიტუტის ლექტორმა ი. თ. ლიქოკელმა რაიგანყოფილების მუშაკებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „კომუნისტური აღზრდის ძირითადი მიმართულებანი, ფორმები და საშუალებები“.

დიდი ბელადისადმი იყო მიძღვნილი კომუნისტური შაბათობები, რომელიც განყოფილების კოლექტივმა „ცივგომბორის“ მთაზე, სატელეფონო კავშირის ქვესადგურის მშენებლობისა და რაიგანყოფილების ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოებს მოახმარა.

თელაველი წესრიგის დამცველები პირობას იძლევიან, რომ ახალ წელს კიდევ მეტი ენერგიით, ახალი შემართებით იბრძოლებენ ლენინური შრომის ყველა ფრონტზე და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან დიდი ბელადის საიუბილეო თარიღს.

## მარნეული — ყაზახი — ნოემბერიანი

მეგობრობა, რომელიც ჩაისახა მარნეულის, ყაზახისა და ნოემბერიანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებს შორის, და, რომლის ინიციატორიც იყო გაზეთი „მებრძოლი გუშაგი“, ფრიად სასარგებლოა სამივე რაიონის მცხოვრებლებისათვის.

აი, რა გვიამბო სომხეთის სსრ ნოემბერიანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა ა. ოსეპიანმა.

— ჩვენ მეტად მოხარულნი ვართ სამი რესპუბლიკის რაიონების — მარნეულის, ყაზახისა და ნოემბერიანის გამოხმაურების წამოწყებისა. ბუნებრივია, რომ ყოველ ჩვენთაგანს სურს იყოს პირველი ამ შეჯიბრებაში. მითუმეტეს ვიცით, რომ მკითხველი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალს სამივე რესპუბლიკის რაიგანყოფილებების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

განსაკუთრებით შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული მსოფლიოს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 და სომხეთის 50 წლისთავის შეხვედრისათვის: მოვაწყვეთ ოთახი, რომელიც მნახველებს მოუთხრობს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე, ბელადის ოთახის მოწყობაში მონაწილეობა მიიღეს რაიგანყოფილების მუშაკებმა ს. არუთინიანმა, ზ. ალექსანიანმა და გ. გიშიანმა. გვყავს მილიციის ფრიადოსანი მუშაკები — დაჩიო ვართანიანი, ს. ჩელინგარიანი და ო. იუსუპოვი. რაიგანყოფილების მუშაკებმა დააკავეს მეტად საშიშ ბოროტმოქმედთა ათკაციანი ჯგუფი, რომელიც სამივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

ტელეფონთანაა მარნეულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი.

— ჩვენს რაიონში სამზადისი ლენინის იუბილესათვის ფართო ფრონტით გაიშალა. გვაქვს სანიმუშო და ფრიად შინაარსიანი გამოფენა. ვატარებთ ლექცია-სემინარებს. მოწვეული გვყავს ლექტორი, რომელმაც წაგვიკითხა ლექცია ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ჩვენთან მთელი დატვირთვით მუშაობენ წრეები, სადაც სწავლობენ დიდი ბელადის ბიოგრაფიას. საიუბილეო წელთან დაკავშირებით რაიგანყოფილების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს არ დაუშვან მომსახურების უბნებში წესრიგის დარღვევის არცერთი შემთხვევა. გვყავს მოწინავე მუშაკები — მილიციის ფრიადოსანი კაპიტანი ა. ორბელაძე, მოწინავე უბნის ინსპექტორები — მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ისაევი და მილიციის ლეიტენანტი ა. კარდაშინი, მილიციის სერჟანტი მ. ბურნაძე.

ყაზახის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ა. მაგერამოვი გვატყობინებს თავისი კოლექტივის მიღწევებს. — მთელს ჩვენს მუშაობაში — ამბობს იგი, — ყაზახის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები ვეყრდნობით საზოგადოების მხარდაჭერას.

კარგად გვაქვს მოწყობილი დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის ოთახი, გვყავს მოწინავე მუშაკები, მილიციის უფროსი სერჟანტი ა. გარიბოვი, მილიციის უმცროსი სერჟანტი მ. აშჩუბოვი. უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. აზიგიაზალოვი.

დიდი ყურადღება ეთმობა ლენინური მემკვიდრეობის შესწავლას, რომელსაც ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში ი. იუსუფოვი.

ყაზახის შს რაიგანყოფილების მუშაკებს გადაწყვეტილი აქვთ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს შეხვდნენ ახალი შრომითი წარმატებებით.

სამი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებების მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება. ეს კი მოქალაქეთა ინტერესებისათვის მებრძოლ გუშაგთა ახალი წარმატებების საიმედო გარანტიაა.

თ. აბშილავა,
„მგბ“-ის სპეც. კორ.

## პენსიაზე გააცილეს

ამას წინათ შინაგან საქმეთა აბაშის რაიგანყოფილების კოლექტივმა დამსახურებულ პენსიაზე გააცილა განყოფილების ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი, კომუნისტი, უფროსი ლეიტენანტი ნოე პეტრეს ძე ჟვანია.

27 წელზე მეტი ემსახურა ნ. ჟვანია საყვარელ საქმეს, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელთა ინტერესების დაცვას, დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კანონიერების განუხრელად გატარების საქმეს მოახმარა.

25 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც მილიციის ორგანოებში დაიწყო სამსახური. ეს ის წლები იყო, როდესაც დიდი სამამულო ომის ხანძარი მძვინვარებდა და ნოეც, როგორც ერთი რიგითი მებრძოლი, მამაცურად იდგა თავის საგუშაგოზე.

ომის შემდგომ წლებში ნ. ჟვანია კვლავ ვაჟკაცური შემართებით განაგრძობს სისხლხორცეულ საქმეს. ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერა, ხალხის მასებზე დაყრდნობა და მათთან უშუალო კავშირი — აი, უბნის რწმუნებულ ნოე ჟვანიას წარმატებათა საწინდარი.

ნოე ჯერ კიდევ ჭარმაგია, შრომისმოყვარე და დაუცხრომელი, ამიტომაც გვჯერა, რომ იგი კვლავაც აქტიურ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

შ. კულუა.

## 40 წელი ხალხის სამსახურში



გინახავთ ბერმუხა, ჟამთასვლისაგან ტოტებშელეწილი, მაგრამ, მაინც ამაყი და ფესვებძლიერი. მის ფესვებზე, მის სხეულზე ამოყრილია ნორჩი ყლორტები, როგორც დიდი სიცოცხლის გამგრძელებელი. ასეთი ბერმუხის დანახვაზე არ შეიძლება თქვენს გონებაში არ გაიელვოს ფიქრმა — რამდენი რამის მომსწრეა და მაინც ძლიერი! მე კი ყოველთვის ასეთი ბერმუხის ხილვა ერთ კაცს მაგონებს მთელს ყვარელში — ვასილ ისაკის ძე მზექალაშვილს.

ვასილ მზექალაშვილი 1931 წელს ეზიარა მეხანძრის პროფესიას და გულითა და სულით შეიყვარა იგი. 1940 წელს ყვარლის ქალაქის სახანძრო რაზმში ათეულის მეთაურის თანამდებობაზე დააწინაურეს.

მრავალი ხანძრის ქრობაში მიუღია მონაწილეობა და იქიდან ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნებულა, მისი დამსახურება უამრავი წახალისებითაა აღნიშნული. კარგი მუშაობისათვის 1942 წელს გადაყვანილ იქნა თიანეთის რაიონის სახანძრო რაზმის უფროსად, სადაც მუშაობდა 1944 წლის დამლევამდე. რის შემდეგ მუშაობას იწყებს ყვარლის ქალაქის სახანძრო რაზმში, რაზმის უფროსის თანაშემწედ.

მზექალაშვილი 25 წელზე მეტი დაუღალავად ემსახურა სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონებისა და ადამიანთა სიცოცხლის ხანძრისაგან დაცვის საქმეს. ამ ხნის მანძილზე მისი უმწიკვლო შრომა 30-ზე მეტი ფულადი პრემიით, მედლებითა და წახალისებებით აღინიშნა.

მზექალაშვილი თავის საყვარელ სახანძრო საქმეს 1931 წლიდან 1955 წლამდე ემსახურება. 1955 წლის დეკემბერში მუდმივ საცხოვრებლად ქ. თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის ბანკების დაცვის დივიზიონში მილიციელად. ამ ძნელსა და საპასუხისმგებლო საქმესაც წარმატებით გაართვა თავი ყოფილმა მეხანძრემ. პატიოსანი შრომისა და სამსახურის უმწიკვლო ტარებისათვის მიღებული აქვს „წარჩინებული მილიციელის“ სამკერდე ნიშანი.

ამბობენ, დრო თავის დაღს ამჩნევს ადამიანსო, მაგრამ მზექალაშვილის გაუტეხელი ბუნება ჟამთასვლას ქედს არ უხრის და იგი ამჟამადაც თავდადებით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ვინ იცის მასთან რამდენი ახალბედა მუშაკი აღიზარდა და თავი უსახელებია კარგი მუშაობით.

1965 წლის 21 სექტემბერს მზექალაშვილმა გარდაბნის რაიონის სახელმწიფო ბანკში საგუშაგოზე დგომის დროს იპოვა 8000 მანეთი ფული, რომელიც იმავე დღეს ჩააბარა დაზარალებულს. ამ მოქმედებით კიდევ უფრო განიმტკიცა ნდობა მზექალაშვილმა.

მზექალაშვილი დღესაც მუშაობს ქ. თბილისის ბანკების დაცვის დივიზიონში, ჩაბმულია საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მასზე დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებს.

40 წელია წარჩინებულად დგას მზექალაშვილი საბრძოლო პოსტზე და სავსებით არ ეტყობა, რომ ვახტზეა პატიოსანი შრომით ვალმოხდილი, ორგანოს მუშაკი ვეტერანი. ის ახლაც ახალგაზრდული ენერგიით და შემართებით გამოირჩევა თანამოსაქმეებში.

ასეთია მრავალჭირნახული კაცი, რომელიც მუდამ ნასეტყვარ, მაგრამ ფესვებძლიერ მუხას მაგონებს.

ნ. ბეჟანიშვილი,
ყვარლის პროფესიული სახანძრო ნაწილის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

## ფ ო ტ ო ლ ე ნ ი ნ ი ა ნ ა







სურათებზე: ილიჩის მოწოდებაზე. მხატვარი ი. ვეფხვაძე; ვ. ი. ლენინი კომინტერნის I კონგრესის პრეზიდიუმში; ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია რაზლივში; ვ. ი. ლენინი და ა. მ. გორკი.

## ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ე ტ უ რ ი ლ ე ნ ი ნ ი ა ნ ა

ირაკლი აბაშიძე

### დღეს სამგორისკენ

დღეს სამგორისკენ თავშემართული
დაეშვებიან ივრის ტალღები;
დღეს გაიბმება საზვრე მავთული,
მოედებიან თბილისს ბაღები.

დღეს იქუხებენ მლაშე ტბებისკენ
ივრის ზვირთები ხელჩართულები,
ჯერ საცხენისზე, ძველ საცხენისზე,
ღამეს იფრენენ ელსადგურებით.

მერე დაჰკრავენ სამგორს ხმლის
პირებს
აჟღერდებიან ველზე აბჯრულად.
ახალ ბაღნარებს, ახალ ხისძირებს
ჩაუდგებიან ფესვში ნაჟურად.

მერე გასწევენ არხში თარეშით,
გამხნევებულნი თითქოს ორწილად
და დიდ-ლილოსთან გახსნილ
კარებში
შეიჭრებიან ძლევამოსილად.

ძველ მახათასთან ზღვა აღელდება,
გლდანთან ატყდება აურზაური,
ზღვა ამღერდება, ზღვა ამღერდება,
თბილისს, ავჭალას დაჰკრავს
ზღვაური.

ზღვაზე დადგება ღრუბლის სვეტები,
დასჭექს, იელვებს და გაწვიმდება,
ზვრებში მტევანზე წვიმის წვეთები
ელექტროს შუქით აციმციმდება.

დასცხებს, გვალვაში მისაშველებლად
მივა სამგორშიც, მოვა თბილისშიც
და ფერად-ფერად ცისარტყელებად
შიგ იელვარებს შუქი ილიჩის.

რეზო მარგიანი

### ლ ე ნ ი ნ ი

მეზობელს ლამაზი ბიჭი ჰყავს პატარა,
მკვირცხლია, თან დაუზარები.
უცინის, უბრწყინავს ვარსკვლავის
მაგვარად,
ცისფერი, ჰკვიანი თვალები.

ალერსით არ შეხვდე, რა
გაგაძღებინებს —
თვალწინ დგას მამულის იმედი,
ტუჩებს, ვით ბროწეულს, გახსნის
და შეგცინებს
ცარცივით ქათქათა კბილებით.

ადრიან, როდესაც ჩემს ბანზე
შევდგები,
ის, როგორც ჭიკჭიკა ფრინველი,
შინ შემოფრინდება საყვარელ
ლექსებით
და დილას შემძახებს პირველი...

და მოხდა ჩვენს სახლში ასეთი ამბავი:
ოცნებით ცას მისწვდა პატარა,
მას ბიძამ აჩუქა ლამაზი ანბანი
და ბიჭმა მეზობლებს გვახარა.

დრომ განვლო. დრომ განვლო და
ასო ყოველი,
თბილისის სტამბაში მოჭრილი,
ბეჯითმა, ჰკვიანმა და დაუდგრომელმა
ბიჭუნამ გახადა მორჩილი.

და ასოები, ისე ვით ჩიტები,
ჩამწკრივდნენ ოქროთი ფერილი —
ბიჭუნამ რვეულზე სათუთი თითებით
პირველად დაწერა
ლ ე ნ ი ნ ი.

ლენინის სახელი, ვით ბედნიერება,
გაისმა, გაღიღდა ნათელი,
თითქოს ფრთა შეისხეს საამო
ბგერებმა,
გაიღო ოთახის სარკმელი.

გაფრინდა, გაფრინდა ბიჭუნას ამბავი,
ჭიკჭიკით ქვეყანას ახარა:
— პატარა ქართველმა ისწავლა ანბანი,
ლ ე ნ ი ნ ი დაწერა პატარამ.

ლადო ასათიანი

### ლ ე ნ ი ნ ი ს ტ ო მ ი

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგვრძნია აღფრთოვანება,
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,
ზოგში — მარტოდენ ხატოვანება.

ბევრი მათგანი სულ არ გაჭრილა,
გაჰყვა საყვარელ ქალს თუ მეგობარს,
ბევრი კი შერჩა ჩემს შავ განჯინას,
ვით მტვერწაყრილი უიმედობა.

ბევრი გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

მან მოარჩინა ჩემი წუხილი, —
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
მის ფურცლებიდან
შუბლშეჭმუხვნილი
მესაუბრება მამა ლენინი.

ის ლაჟვარდივით ფურცელგაშლილი
ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,
მან შემასწავლა მე კომკავშირით
განახლებული ქვეყნის შენება.

ასე გულდაგულ ვერ ვიბრძოლებდით,
რომ არ გვიძღოდეს მისი ცისკარი.
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,
ყოველდღიურად წასაკითხავი.

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგვრძნია აღფრთოვანება.
ზოგს შემოაცვდა ყდა და ვარაყი
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება,

ზოგიც გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი, ცისფერყდიანი,
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

## მსოფლიოს საზოგადოებრიობა ემზადება იუბილის შესახვედრად

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ გამოუშვა კრებული, რომელშიც შეტანილია ციტატები ვ. ი. ლენინის შრომებიდან და გამოსვლებიდან ქალთა განთავისუფლების საკითხზე. კრებული გამოიცა რამდენიმე ენაზე და გაეგზავნა სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ორგანიზაციებს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეწყობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ორგანიზაციათა პარტიული აქტივები, რომლებიც ეძღვნება პარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა განხილვას. აქტივების მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების, ლენინიზმის სულისკვეთებით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის საკითხები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწენი.

გამომცემლობა „დიც-ფერლაგმა" ცალკე ბროშურად გამოუშვა გერმანულ ენაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

### ლენინის იდეები მილიონთა გულშია

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის ფართო მასშტაბით ემზადება მთელი ჩვენი პლანეტა. იგი გადაიქცა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად — ხაზგასმით აღნიშნავს ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო".

ლენინის იდეები ცოცხლობს ასეულმილიონობით ადამიანის გულსა და გონებაში, ხორცს ისხამს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობით, მთელ მსოფლიოში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მზარდი ძალებით. ისტორიას, ნათქვამია სტატიაში, არ ახსოვს სხვა ადამიანი, რომელიც ლენინს შეედრება პოპულარობით, მიმდევართა რიცხვით, კაცობრიობის ისტორიულ ბედზე გავლენით.

კომუნისტური და მუშათა პარტიები, განაგრძობს გაზეთი, ლენინის იუბილეს აღნიშნავენ იმით, რომ აქტიურებენ თავიანთ რევოლუციურ მოღვაწეობას, აძლიერებენ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობას მშრომელ მასებში, აფართოებენ თავიანთ გავლენას ხალხზე, განამტკიცებენ საერთაშორისო კომუნისტურ ერთიანობას. თავიანთი შემდგომი წარმატებების გარანტიად მათ მიაჩნიათ ლენინის შრომების შესწავლა, ბრძოლა მეცნიერული სოციალიზმის დასაცავად სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დამახინჯებებისაგან, მემარჯვენე და „მემარცხენე" რევიზიონიზმის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია, ბულგარელი კომუნისტები, ხაზგასმულია სტატიაში, ეგებებიან რა ღირსშესანიშნავ თარიღს, სულ უფრო ფართო მასშტაბით ეწევიან ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობის პროპაგანდასა და შესწავლას.

ბულგარეთის სახალხო არმიის გარნიზონებსა და ნაწილებში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი. მის პროგრამაში შეტანილია ფილმები, რომლებიც მოგვითხრობენ რევოლუციის ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მისი უკვდავი იდეების ტრიუმფზე. ფესტივალი, რომელიც 22 აპრილამდე გაგრძელდება, საზეიმოდ გაიხსნა სოფიაში, სახალხო არმიის ცენტრალურ სახლში.

გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა კომიტეტის საქმიანობის 1970 წლის გეგმა. გეგმაში აღნიშნულია, რომ ლენინის საიუბილეო წელს ბულგარეთში უფრო აქტიურად გაუწევენ პოპულარიზაციას ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ძმური და ურღვევი მეგობრობის იდეებს. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური, სამეცნიერო სესია, სამხატვრო გამოფენა.

### სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად

დასავლეთ ბენგალიის შტატის ქალაქ ასანსოლში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალი, რომლის პროგრამაშია კინოფილმები ვ. ი. ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის შესახებ, საბჭოთა წიგნისა და ფოტოსურათების გამოფენები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. მოეწყობა აგრეთვე თეორიული სემინარი თემაზე „ლენინი და ინდოეთი".

დასავლეთ ბენგალიის შტატის დედაქალაქ კალკუტაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის შრომების გამოფენა. პარლამენტის დეპუტატმა ჰირენ მუკერჯიმ, რომელმაც ვერნისაჟზე წარმოთქვა სიტყვა, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის მოძღვრებას მთელი კაცობრიობის ბედისათვის. „ლენინი, — თქვა მან, — მთელ მსოფლიოს ეკუთვნის".

გამოფენაზე ექსპონირებულია 250-ზე მეტი წიგნი: ლენინის შრომები და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებები, აგრეთვე ფოტოსურათები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ინდოეთში გამოცემული წიგნები მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის შესახებ.



ამ დღეებში შედგა მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მორიგი პარტიული კრება, რომელზედაც განყოფილების კომუნისტები მთელი პრინციპულობით ლაპარაკობდნენ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

პარტორგანიზაციის მდივნის, ლეიტენანტ ყ. ფირანიშვილის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც ილაპარაკა დანაშაულობათა ლიკვიდაციის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის წევრები, რომლებმაც ერთსულოვანი აზრი გამოსთქვეს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების შესახებ რაიგანყოფილების წინაშე მდგარი ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. პარტიულ კრებას ესწრებოდნენ მცხეთის რაიონის პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

სურათზე: მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პარტიულ კრებაზე.

ფოტო მ. პეკელისისა.

## რაიაღმასკომის თავმჯდომარის ტრიბუნა

### ავამაღლოთ დეპუტატთა პასუხისმგებლობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 ნოემბრის დადგენილება წარმოადგენს უაღრესად ღირსშესანიშნავ დოკუმენტს შინაგან საქმეთა ორგანოების ცხოვრებაში. დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორგანოების მუშაკთა კულტურული დონის ამაღლებას, პროფესიულ დაოსტატებას, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ გამოყენებას.

დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი შემადგენლობა, ხელმძღვანელობს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით გარკვეულ მუშაობას ატარებს რაიონის ტერიტორიაზე მოსალოდნელი დანაშაულის აცილებისა და მომხდარ დანაშაულებათა დროულად გამოვლინების საქმეში.

რაისაბჭოს აღმასკომი ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებდა და აყენებს რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეს.

აღმასკომის მიერ 1969 წლის 10 ივლისს მიღებულია სავალდებულო გადაწყვეტილება „მოქალაქეთა ქცევის სავალდებულო ნორმებისა და სანიტარული წესების დაცვის შესახებ", ამ გადაწყვეტილების მიღებამ ერთგვარად კიდევ უფრო შეუწყო ხელი რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობაში.

1969 წლის 15 ოქტომბერს რაისაბჭოს სესიაზე მოსმენილი იქნა შინაგან საქმეთა დუშეთის რაიონული განყოფილების უფროსის ამხ. შ. კაიშაურის მოხსენება: „რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ", სესიაზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

შარშან მჟაღიჯვრის სასოფლო საბჭოში ჩატარდა სოფლის მოსახლეობის ყრილობა, სადაც განხილული იქნა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხები. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ეთ. ველთაური. საკითხის განხილვამ და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, ხელი შეუწყო საბჭოს ტერიტორიაზე წესრიგის განმტკიცებას. ყრილობის შემდეგ იქ არ მომხდარა არცერთი სისხლის სამართლის დანაშაული. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე იმსჯელეს აგრეთვე ჭოპორტის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმაც. გარდა ამისა აღმასკომის სხდომებზე ანგარიშებით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უბნის ინსპექტორები: დუშეთში — გოგოპური, ფასანაურში — გ. ქავთარაძე, ჭოპორტში — ვ. ხუცელიძე.

1969 წლის 19 დეკემბერს საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის ბიუროზე მოსმენილი იქნა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის ამხ. შ. კაიშაურის ანგარიში განყოფილების მიერ 1969 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მშრომელთა საჩივარ-განცხადებების დროულად განხილვა-გადაწყვეტის საქმეს. 1969 წელს მიღებული 509 საჩივარ-განცხადება დროულად არის განხილული და მიღებულია კანონიერი გადაწყვეტილება.

შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა აღკვეთის საქმეში აქტიურად არიან ჩაბმულნი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები, შემოღებულია ყოველდღიური მორიგეობა, ქალაქის ტერიტორიაზე სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

1970 წლის 26 იანვარს ჩატარდა საბჭოს თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარი, სადაც მოსმენილი იქნა რაიონის პროკურორის ამხ. მ. მამუჩაშვილის მოხსენება: „რაიონში მექრთამეობის, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ". სემინარზე აღინიშნა, რომ მიუხედავად გატარებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რაიონში ჯერ კიდევ ადგილი აქვს წესრიგის დარღვევის, საზოგადოებრივ საკუთრებაზე ხელყოფის, სახელმწიფოს სასარგებლო შრომისათვის თავის არიდების ფაქტებს, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს.

ამჟამად საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებში ტარდება სესიები, სადაც, იხილება მექრთამეობის, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის საკითხები. ამასთან ერთად, ყველა საბჭოსთან იქმნება საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიები.

ამ დღეებში ჩატარდება რაისაბჭოს მეთორმეტე მოწვევის მეექვსე სესია. სესიაზე შეიქმნება საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივი კომისია. შედგენილი და დამტკიცებული გვაქვს ღონისძიებების მთელი ციკლი რაიონში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს, რათა რაიონში არ გვქონდეს დანაშაულის ფაქტები, ბოლო მოეღოს მექრთამეობას და საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფაქტებს.

დუშეთის რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით იმუშავებენ, რათა საუკეთესო მაჩვენებლებით შეხვდნენ ჩვენი დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

შ. მჭითური,
დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

აკაკი ბელოვანი.

### ექსპრომტი მებრძოლ მეგობარს

რისხვის ცეცხლად ქცეულიყოს
უღირსთათვის სიტყვა შენი!
მზერდე ყველა კუთხე-კუნჭულს,
როგორც ზევსი მეხთამშენი,
ძრწოლით შეხვდეს ყოველ ნომერს
უზრდელი და ზესთამჩენი!

ჩემი შრომის და სიმშვიდის
გუშაგია მილიცია!
ვინც მკვლელსა და მკრეხელს
ებრძვის,
ხელი მისთვის მიმიცია!
ჩემი გული, ჩემი რწმენა,
ჩემი სიტყვაც იმისაა!

ცხრა ათასი გახდებოდე, —
ივსებოდე სხვა მასალით,
ხმალს დადებდე, გამარჯვებულ
მზის გუშაგად ჩანათვალი —
ზეიმობდეს ჰარმონია,
ზრდილობა და სამართალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმსჯელეს, გადაწყვიტეს

გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციისა და პოლიტაპარატის მუშაკების ერთობლივი კრება, რომელიც სოციალისტური კანონიერებისა და სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა ვ. გეგელიამ.

მოხსენებით „სახელმწიფო ავტოინსპექციის პირად შემადგენლობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისა და სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცების შესახებ" გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. თუშურაშვილი.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და ღრმა ანალიზი გაუკეთა საგანგებო შემთხვევების ხელისშემწყობ პირობებს, ილაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც დასახულია და ხორციელდება აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლკოვნიკმა პ. კოვალჩუკმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა ავტოინსპექტორისადმი.

**ზ. გიორგაძე,**

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი.**



**მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი ღირსეული შეხვედრისათვის, მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სატრანსპორტო მილიციის ორგანოების მუშაკთა შორის მეგობრობის განმტკიცების მიზნით, სადგურ თბილისის სახაზო განყოფილების ხელმძღვანელობამ, პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად, საქართველოს სსრ შსს მილიციის საგზაო განყოფილების შენობაში მოაწყო შეხვედრა დევიზით: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების სატრანსპორტო მილიციის ორგანოების მუშაკთა მეგობრობა — დანაშაულობათა და მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საწინდარია".**

**სურათზე: აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სატრანსპორტო მილიციის მუშაკები ხელს აწერენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.**

ფოტო გ. მგალობლიშვილისა.

# განუხრელად დავიცვათ სოციალისტური კანონიერება, განვამტკიცოთ სამსახურებრივი დისციპლინა

## (კრების მონაწილეთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა ავტოინსპექტორისადმი)

რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები. გზებსა და გზაჯვარედინებზე, დღისით თუ ღამით, წვიმასა თუ თოვლში შეუცვლელად დგას საგზაო მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ერთგული გუშაგი — ავტოინსპექტორი. რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია ავტოინსპექციის მუშაკს. მან უნდა უზრუნველყოს არა მარტო მოძრაობის უსაფრთხოება, არამედ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. იყოს დაუნდობელი, მაგრამ სამართლიანი მათ მიმართ, ვინც უხეშად არღვევს მოძრაობის წესებს, ხოლო დამხმარე და მეგობარი განსაცდელში ჩავარდნილთათვის

ამჟამად საავტომობილო ტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი და მასობრივი მიმოსვლის საშუალებაა რესპუბლიკის შიგნით. საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთზიდვების მოცულობა 4-ჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ სატრანსპორტო საშუალებებზე.

ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება ახალ, სერიოზულ ამოცანებს აყენებს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების წინაშე. ამ ამოცანების პირნათლად შესრულება კი თავისთავად მოითხოვს ავტოინსპექციის მუშაკისაგან სათანადო პროფესიულ დონეს, მუშაობის მაღალ კულტურას, ობიექტურობას, სამსახურებრივი მოვალეობისადმი პარტიულ დამოკიდებულებას, პრინციპულობასა და პატიოსნებას.

საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების აბსოლუტური უმრავლესობა თავდადებით და მოვალეობის ღრმა შეგნებით ასრულებს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. მაგრამ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი: ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები ადამიანების მსხვერპლით, დიდია ავტოავარიების რიცხვი, ადგილი აქვს ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების ექსპლოატაციას, დაბალია მძღოლთა პროფესიული მომზადების დონე და დისციპლინა, ხშირია ტრანსპორტის გამოყენება დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რაც მოძრაობის სუსტ ორგანიზაციასა და ზედამხედველობის დაბალ დონეზე მიგვითითებს.

ამჟამად ჩვენ ავტოინსპექციის სამსახურის სხვა ხასიათის ნაკლოვანებებზე გვსურს ყურადღების გამახვილება. ჩვენ გვინდა გულახდილად ვისაუბროთ ავტოინსპექტორის მორალურ სახეზე. დასამალი არ არის, ის ფაქტი, რომ სოციალისტური კანონიერების დარღვევების ერთი ნაწილი ავტოინსპექციის მუშაკებზე მოდის, ხშირია საჩივრები ავტოინსპექტორთა უხეშობის, უკულტურობის, მძღოლთა მიმართ გადაჭარბებული ადმინისტრირების ან პირიქით, ანგარებით გამოწვეული ლიბერალური დამოკიდებულების მრავალი მაგალითის შესახებ.

როგორც ჩანს ამ აზრს თავისი რეალური საფუძველი აქვს. ავტოინსპექციის ზოგიერთი მუშაკის მოქმედება ბღალავს ათასობით ერთგული და პატიოსანი მუშაკის სახელს. ჩვენ არ ჩამოვთვლით ფაქტებს, როდესაც ცალკეული ავტოინსპექტორები გადაგვარების გზას დაადგნენ, კერძომესაკუთრული ტენდენციების ჭაობში ჩაეფლნენ და სულმდაბლობა გამოიჩინეს.

ჩვენი კოლექტივი სამუდამოდ გამოეთხოვა მათ. ბევრი მათგანი კი საბჭოთა სასამართლოს წინაშე წარსდგა და მკაცრად დაისაჯა.

ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ მსგავს შემთხვევებს ბოლო უნდა მოეღოს, გავარვარებული შანთით უნდა ამოიწვას ყოველგვარი უმსგავსო საქციელი. ჩვენი მხედრული დამოკიდებულება უნდა აიგოს პრინციპზე: ყველა ვინც გადაუხვევს წესდებასა და ფიცს, დეზერტირად და მოღალატედ ჩაითვალოს.

ჩვენ ძლიერ აგვაღელვა გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელიც ავტოინსპექციის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ხარვეზებს ეხება.

ჩვენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა, ყოველდღიური და დაუღალავი შრომით უნდა განვამტკიცოთ ავტოინსპექტორის, როგორც სოციალისტური კანონიერების აქტიური დამცველის ავტორიტეტი და ღირსება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ავტოინსპექტორში საბჭოთა მოქალაქე, ეს იქნება მძღოლი თუ ინჟინერი, ექიმი თუ მუშა, მეცნიერი თუ კოლმეურნე, გრძნობდეს იმ მაღალ ყურადღებასა და სითბოს, რასაც სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები მათდამი იჩენენ. ვიყოთ კულტურულნი და თავაზიანნი, მკაცრნი და სამართლიანნი, ავამაღლოთ ჩვენი პროფესიული მომზადების დონე. აი, რისკენ მოგიწოდებთ ჩვენ, აი, ის მაღალი მოთხოვნა, რასაც ჩვენგან მოითხოვს პარტია და ხელისუფლება.

ჩვენს მუშაობაში საჭიროა ჩავაბათ საზოგადოების ფართო ფენები, განვუმარტოთ მოსახლეობას მოძრაობის უშიშროების წესები, მსხვილ ავტოპარკებსა და ავტოკოლონებში მოვაწყოთ ადგილებზე მიღება, ჩავატაროთ საუბრები, უფრო შინაარსიანი და საინტერესო გავხადოთ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების საბჭოების მუშაობა.

თვითეულმა ჩვენთაგანმა ღრმად უნდა შეიგნოს, რომ ავტოავარია ყოველი მუშაკის მუშაობის წუნია.

საჭიროა ერთხელ კიდევ გადავხედოთ ჩვენს მიერ ჩატარებულ მუშაობას, გავითვალისწინოთ ის შეცდომები, რაც მუშაობაში გაგვაჩნია და დავსახოთ კონკრეტული გზები მათ აღმოსაფხვრელად. დაე, 1970 წელი, საიუბილეო წელი, ჩვენს მუშაობაში აღინიშნოს მხოლოდ მაღალი მაჩვენებლებით.

**საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის პირადი შემადგენლობა.**



# დეპუტატები სანიმუშო წესრიგისათვის იბრძვიან

70 დღე გვაშორებს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის აქტიურად ემზადებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი მთელ რესპუბლიკაში, — აი, უპირველესი საბრძოლო ამოცანა, რომელიც წითელ ზოლივით გასდევს ორგანოს მუშაკთა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ციკლს.

უკვე გამოჩნდნენ მოწინავე რაიონები, სადაც საზოგადოებრიობის ფართო ფენების აქტიური მხარდაჭერით დანაშაულობანი საგრძნობლად შემცირდა ან თითქმის აღიკვეთა. მოწინავეთა შორის გამოირჩევა ქარელის რაიონი. აქ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური დახმარებით, მოსახლეობაში ქმედითი ახსნა-განმარტებითი და პროფილაქტიკური მუშაობის გაშლებით ქარელის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების (უფროსი მილიციის პოდპოლკოვნიკი შ. დეკანოსიძე) მუშაკებმა სანიმუშო წარმატებებს მიაღწიეს დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისათვის წარმოებული მიზანსწრაფული მუშაობით.

ქარელის რაიონში 2 სადაბო და 17 სასოფლო საბჭოა. სასოფლო საბჭოები 84 სოფელს აერთიანებს. ამათგან 60 სოფელში უკანასკნელ პერიოდში ადგილი არ ჰქონია დანაშაულობათა ჩადენის არცერთ შემთხვევას. ეს იმის საკმაოდ დამაჯერებელი სურათია, რომ ორგანოს მუშაკებს წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მხარში უდგანან სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატები, სახალხო რაზმელები, პარტიული და კომკავშირული აქტივი, სოფლის მოწინავე ადამიანები. დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლა მათ პირადი ღირსების საქმედ მიუჩნევიათ და ამ ერთობლივი მუშაობის შედეგიც სახეზეა. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგით გამოირჩევა ქარელის რაიონის გვერძინეთის სასოფლო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა სამსონ ელბაქიძე, უბნის ინსპექტორი კი მილიციის უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე გაგლოევი. ამ საბჭოში ათიოდე სოფელი შემოდის — ელბაქიანთ კარი, ტყემლოვანა, ქვათეთრი, წიფლოვანა, მუხილეთი, არცევი და სხვა. ამ სოფლების მოსახლეობის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ზედიზედ სამი წელია დანაშაულის სულ მცირე ჩადენის ფაქტსაც არ ჰქონია ადგილი. სასოფლო საბჭოს დეპუტატები ჟენია ელბაქიძე, შოთა გაგლოევი, გიოზ ფილიევი, სახალხო რაზმელები გერსამი და გიგუცა ელბაქიძეები და სხვები, მჭიდრო კონტაქტში არიან უბნის ინსპექტორთან და განყოფილების მუშაკებთან, ეს კი ყოველთვის იძლევა დანაშაულის წარმომშობი მიზეზების ძირშივე აღკვეთის გარანტიას.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე რუისისა და ურბნისის სასოფლო საბჭოებს (თავმჯდომარეები ანზორ ვარძელაშვილი და ნადია ხანიშვილი), დვანის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ვალერიან ქოქოშვილი), რომლებსაც ემსახურებიან უბნის ინსპექტორები, მილიციის ლეიტენანტები ზაურ ტაველიძე, ვახტანგ ჰყოიძე და სხვა.

ქარელის რაიონის სასოფლო საბჭოებში ძირითადად თუმცა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგია დამყარებული, მიღწეული შედეგი მაინც არასდროს არ აკმაყოფილებს საქმის მოყვარულ ადამიანებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქარელის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა სპეციალურად განიხილა მოხისის (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვალიკო ქლიაშვილი, უბნის ინსპექტორი ოთარ გელაშვილი), ზემო ხვედურეთის (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ქვაური, უბნის ინსპექტორი, გიორგი ქელეხსაევი), ავლევის (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე უშანგი თხელაშიძე) სასოფლო და ქარელის სადაბო საბჭოებში (სადაბო საბჭოს თავმჯდომარე პავლე გლურჯიძე) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხი და პირადი შემადგენლობის ფართო მსჯელობის საგანი გახდა იქ მომხდარი ხულიგნობის, ქურდობის, შემთხვევები. მთელ რიგ სასარგებლო ღონისძიებებთან ერთად გადაწყდა მოწინავე უბნის ინსპექტორებისა და ხელმძღვანელი ოპერატიული მუშაკების გაპიროვნება ზემოთდასახელებულ სასოფლო და სადაბო საბჭოებზე. მათ ამიერიდან მომსახურებას გაუწევენ გამოცდილი უბნის ინსპექტორი პეტრე ნოზაძე, უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი მიშა ლომიძე, შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ვახტანგ ბარჯაძე და სხვები.

გეზი იქეთკენაა, რომ დანაშაულის აღკვეთისათვის ბრძოლაში მოწინავე 60 სოფელს კიდევ ახალი შევსება შემატონ ქარელის შს რაიგანყოფილების მუშაკებმა. ეს სწორედ რომ კარგი საიუბილეო საჩუქარი იქნება.

**ე. მჭედლიშვილი.**

# კანონიერების დაცვა — თვითეულის საქმეა!

**ამ დღეებში პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრება.**

კრებაზე მოხსენებით „დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და ჩხოროწყუს რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" გამოვიდა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. ჯიჯელავა.

საბჭოთა ადამიანები თავდადებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, კეთილსინდისიერად ეკიდებიან თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობას და მტკიცედ დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა უბანზე, ამ საერთო ფერხულის ერთ-ერთი მონაწილეა ჩხოროწყუს რაიონიც. ამას მოწმობს ხუთწლედის მეოთხე წლის საზოლო მაჩვენებლებით დამთავრება.

საბჭოთა კანონიერების დაცვა არაერთხელ ყოფილა რაიონული აქტივისა და სასოფლო ყრილობების მსჯელობის საგანი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შემცირდა დანაშაულობათა ქმედითობა. რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების სტატისტიკური მონაცემები მეტყველებენ, რომ წლითი წლობით მცირდება დანაშაულებრივი მოქმედებანი, კერძოდ კი საზოგადოებრივად ისეთი საშიში დანაშაული, როგორიცაა გაფლანგვა-დატაცება, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა, მაგრამ ეს ფაქტი როდი გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას.

შინაგან საქმეთა განყოფილების, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს კოლეგიური მუშაობის მეოხებით რაიონში საგრძნობლად შემცირდა საშიშ დანაშაულობათა შემთხვევები.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, განაცხადა მოხსენების დასასრულს ამხ. დ. ჯიჯელავამ, რომ რაიონის მშრომელები ქ. ქუთაისის, სიღნაღის, გორისა და ზუგდიდის რაიონების მშრომელთა ინიციატივის შესაბამისად ჩხოროწყუს რაიონს და მის სოფლებს გახდიან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის მატარებლად, რომ 1970 წელი გამოაცხადონ უდანაშაულო წლად.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები ხ. აფხაზავა — ხაბუმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ა. ცირდავა — რაიონული საავადმყოფოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მ. ტყებუჩავა — ლესიჭინის საშუალო სკოლის მოსწავლე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ა. კვარაცხელია — შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, ს. კვირკველია — ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი, ქ. ჩიქოვანი — მუხურის საშუალო სკოლის დირექტორი, ა. ქვარცხავა — ჩხოროწყუს მომხმარებელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ვ. როდონაია — განათლების განყოფილების გამგე, მ. ახალაძე, — რაიონის სამხედრო კომისარი, გ. თოდუა, — საქართველოს ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი, შ. შენგელია — რაიონის პროკურორი, ი. ჯაიანი — პენსიონერი მასწავლებელი, ნ. გახარია — სახალხო მოსამართლე.

აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ჯიჯელავამ.

**ი. ნაჭყებია,**

ჩხოროწყუს რაიონულ გაზეთ „ნაპერწკლის" თანამშრომელი.

# ენდობოდნენ, ენდობიან

დიმიტრი ესტატეს ძე ვანიშვილმა ცხოვრების მძიმე და საინტერესო გზა გაიარა. დიდი სამამულო ომის წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში დაიწყო მუშაობა, საქმის ერთგულმა და უნარიანმა ჭაბუკმა მალე ხელმძღვანელობის ყურადღება მიიქცია.

1969 წლიდან დ. ვანიშვილი მშობლიურ გორის რაიონს უბრუნდება და აქტიურად ებმება საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ჭანმაგარ ახალგაზრდას ყველაზე უფრო დაზარალებული უბნის — ატენის ხეობის უბნის რწმუნებულად ნიშნავენ და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებენ. მილიციის უმცროსი ლეიტენანტი დ. ვანიშვილი ახალი შემართებით შეუდგა საქმეს. ბევრჯერ პირისპირ შეხვდა იგი თავზეხელაღებულ ნაძირალებს და თავისი ოპერატიულობის და მოხერხებულობის შედეგად მუდამ გამარჯვებული გამოსულა. 15 წელი იმუშავა დ. ვანიშვილმა უბნის რწმუნებულად და ამ ხნის მანძილზე მას არა ჰქონია არცერთი მარცხი, არცერთი ჩავარდნა. უანგაროდ შეიყვარეს ორგანოს სპეტაკი მუშაკი ტყვიავის, მეჯვრისხევის, შინდისის, ნიქოზის, ფლავის და სხვა სოფლების მშრომელებმა. ამიტომ იყო, რომ მას სხვადასხვა დროს ირჩევდნენ ამ სოფლების სასოფლო საბჭოს დეპუტატად. ეს კიდევ უფრო მეტ ენერგიას მატებდა მილიციის უმცროს ლეიტენანტს და ახალ-ახალი საქმეებისაკენ მოუწოდებდა.

შრომა მუდამ სათანადოდ უფასდებოდა დიმიტრის, იგი არაერთხელ იქნა წახალისებული როგორც გორის რაიონის, ასევე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ. რაიონის მადლიერმა მშრომელებმა გასული წლის დეკემბერში ღვაწლმოსილი ჩეკისტი დამსახურებულ დასვენებაში გააცილეს. თუმცა გაითვალისწინეს რა მისი შრომისმოყვარეობა, ავტორიტეტი, რომელიც მან თავდადებული შრომით მოიპოვა, მშობლიური სოფლის — ატენის მშრომელებმა, ახალი წლის დასაწყისში დიმიტრი ვანიშვილი ერთხმად აირჩიეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

ახალი ენერგიით შეუდგა დიმიტრი საქმეს. მან კარგად იცის, რომ სხვა საკითხებთან ერთად გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს საზოგადოებრივი წესრიგის საკითხები. ამიტომაც არის, რომ ახლა სასოფლო საბჭოში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ზემდგომი ორგანოების მითითებების შესასრულებლად. სასოფლო საბჭოსთან იქმნება დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებზე, იმსჯელებს ყოველი დამნაშავე პირის ქმედებაზე, ყოველ კონფლიქტზე, რომელიც მოხდება მათ სამოქმედო ტერიტორიაზე. დეპუტატებმა კარგად იციან, რომ შემდგომში მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ ამ მიმართებით ჩატარებულ მუშაობაზე, ეს კი საშუალებას მისცემს, მათ ყურადღების ცენტრში ჰქონდეთ მექრთამეობის, სპეკულაციის, საზოგადოებრივი ქონების დატაცების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების სხვა საკითხები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ატენის სასოფლო საბჭოს მშრომელები, გამოცდილი, ენერგიული მუშაკის დიმიტრი ვანიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგარ ამ გადაუდებელ და საპატიო ამოცანას.

**თ. წერეთელი,**

ქ. გორი.

# ხულიგნები დააკავეს

სპირტიანი სასმელით უზომოდ მთვრალები მიბარბაცებდნენ შაუმიანის მოედანზე ძმები ასატუროვები. ისინი იქვე ახლოს ტელეფონის ჯიხურში შევიდნენ და ჩაამტვრიეს ჯიხურის კარის მინა. მინის მსხვრევის ხმაზე ტელეფონის ჯიხურთან მიირბინეს მილიციელებმა ა. სიმხაშვილმა და ტ. გაგლოგიამ.

ძმები ასატუროვები — „ტელეფონის მეგობრები" მიიყვანეს 26 კომისრის სახელობის კინო-თეატრის ადმინისტრატორთან, რათა აქედან გამოეძახებინათ ოპერატიული მანქანა. თავიანთი „კეთილი" დამოკიდებულება ტელეფონისადმი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ძმებმა ასატუროვებმა: ადმინისტრატორის კაბინეტშიც დაამტვრიეს ტელეფონის ყურმილი.

ამჟამად ისინი არა ტელეფონებს, არამედ თავებს იმტვრევენ იმაზე თუ როგორ გამოვიდნენ „მშრალზე". მაგრამ სასამართლო თავის სასჯელს მიუზღავს ხულიგნებს და ძმები ასატუროვები პასუხს აგებენ თავიანთ საქციელზე.

**გ. თარალაშვილი,**

ჩვენი კორ.

# სამორიგეო ოთახში

**მახარაძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სამორიგეო სამსახურის მუშაობა კარგადაა დაყენებული.**

**სურათზე: ლეიტენანტი ა. მაღლაფერიძე და მორიგის თანაშემწე, სერჟანტი ხ. ბოლქვაძე იღებენ მორიგ შეტყობინებას.**

ფოტო მ. პეკელისა.



# სწრაფად, ოპერატიულად

ავტომანქანების გატაცება გაქურდვის მიზნით — ასეთი მოკლე დიაგნოზი დაუსვეს იმ ბოროტ სენს, რომელმაც გასული წლის სექტემბერში ქ. ზუგდიდსა და მის მახლობელ რაიონებში მოიკიდა ფეხი. სენი პირველად ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას „შეეყარა" — ქდანოვის ქუჩიდან გაიტაცეს მოქალაქე მოლორავას კუთვნილი ავტომანქანა „ვოლგა". რომელიც შემდეგ ჩხოროწყუს რაიონის ტერიტორიაზე იპოვეს გაქურდული. ამავე ქუჩიდან გატაცებული მოქალაქე შედანიას გაძარცვული „მოსკვიჩი" წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. სენმა იმძლავრა. გაიტაცეს სოფელ ნარზანის სოფლის კოოპერატივის სატვირთო ავტომანქანა...

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ღრმად ჩააფიქრა იმ საშიშმა მოვლენამ, ამიტომ ენერგიულად შეუდგნენ სათანადო ღონისძიებების გატარებას — შედგენილი იქნა ოპერატიული ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობაც ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილეს, მილიციის მაიორ ნ. ფაცურიას დაევალა. ბოროტმოქმედთა ძებნაში ჩაებნენ ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ფ. ადამია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, უფროსი ლეიტენანტი რ. ქებურია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, უმცროსი ლეიტენანტი ა. ჯიქია.

გატარებულმა ოპერატიულმა ღონისძიებებმა მალე სასურველი შედეგი გამოიღო — დადგენილი და დაპატიმრებული იქნა ბოროტმოქმედთა ჯგუფი 4 კაცის შემადგენლობით.

ძიების პროცესში დადგინდა, რომ ბოროტმოქმედებს — ზუგდიდის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის მანქანების შემკეთებელ გიორგი აკაკის ძე იოსავას, ქ. ზუგდიდის მცხოვრებ შალვა შოთას ძე არაჩემიას, ენგურჰესის მშენებლობის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს, ადრე ნასამართლევ ომარ ვარლამის ძე საბახტარაშვილს და ენგურჰესის მშენებლობის შახტსპეცმშენის მძღოლს, ზუგდიდელ ალიკო ვარლამის ძე საბახტარაშვილს, გარდა ზემოთჩამოთვლილი დანაშაულისა, დაუდასტურდათ ქ. ზუგდიდში, ჩიჩუას ქუჩიდან ფქვილით დატვირთული ავტომანქანა „გაზ-51"-ის გატაცება და გაქურდვა; აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მცხოვრები ომარ ფირცხალაიას სახლიდან ამოღებული იქნა აღნიშნული ბოროტმოქმედების მიერ მოპარული „ვოლგის" ძრავა, რომელიც სოფელ კორცხელის მცხოვრებ შ. ქობალიას ეკუთვნოდა.

ნაქურდალი ქონება უკლებლივ იქნა ამოღებული.

ბოროტმოქმედები მკაცრად აგებენ პასუხს.

**ქ. დევიძე,**

„მგბხ"-ის კორ.

# ცხოვრების საგზური



თვითეული ახალგაზრდის ცხოვრებაში დიდ მოვლენად ითვლება ცხოვრების საგზურის — პასპორტის გადაცემის დღე. დღე, რომელიც ყოველთვის ემახსოვრებათ. ახალგაზრდებისათვის პასპორტების გადაცემა სწარმოებს საზეიმო ვითარებაში, ცნობილი ადამიანების, შრომის გმირების, რაიკომის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

პასპორტების გადაცემა ასეთ საზეიმო ვითარებაში ინერგება შინაგან საქმეთა ყველა საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ფოტოკორესპონდენტი მ. პეკელისი დაესწრო პასპორტების გადაცემის ცერემონიალს ხაშურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში.

სურათზე: ხაშურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსი ჯ. კურტანიძე ქვეგანყოფილების უფროსის მაიორ დ. ხუციშვილის თანდასწრებით პასპორტს გადასცემს საღამოს სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეს, მინისტარის ქარხნის მუშას კარლო ბატიაშვილს.

2500 „ჯუჯა"

# ანგარიშს აბარებს უბნის ინსპექტორი

ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, უბნის ინსპექტორები ანგარიშს აბარებენ მშრომელებს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ. ასეთი ღონისძიებები ტარდება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ამას წინათ მოსახლეობას გასული წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა 26 კომისრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორმა, მილიციის უმცროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე გიორგის ძე ქოჩიაშვილმა. ამ ღონისძიებაზე ორასამდე კაცმა მოიყარა თავი.

თავის სიტყვაში მილიციის ფრიადოსანმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ა. ქოჩიაშვილმა ილაპარაკა იმ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეებზე, რომელთა შესრულებაც მოუხდა განვლილ პერიოდში. მან გულახდილად ილაპარაკა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ახლავს მის მუშაობას.

დანაშაულობრივი ზრახვებისადმი ფხიზელი თვალყურის დევნება ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. ამ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულება შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობისაგან მოითხოვს სიფხიზლესა და მუდმივ ოპერატიულ მზადყოფნას. ეს ამოცანები კარგად იცის ა. ქოჩიაშვილმა, მას გააჩნია ალღო და უნარი საზოგადოებრიობასთან საერთო ენის გამოსანახავად. მილიციის ლეიტენანტმა, მშრომელებისაგან შემოსული დროული შეტყობინებების მეშვეობით საანგარიშო პერიოდში გახსნა და აიცილა რამდენიმე დანაშაული.

ა. ქოჩიაშვილმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნარკომანებს, სპეკულანტებს, ხულიგნებს, ქურდებს, ცივი იარაღის დამტარებლებსა და საპასპორტო რეჟიმის დამრღვევებს.

მოხსენების შემდეგ უბნის ინსპექტორს შეკითხვებით მიმართეს მოქალაქეებმა, რომლებზედაც მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გარე სამსახურის უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი რ. ასათიანი, 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. მეგრელიშვილი. განყოფილების ოცეულის მეთაური — მილიციის კაპიტანი ო. მჭედლიძე, დასახლების კომიტეტის თავმჯდომარე ო. ტრაპაიძე. მათ ილაპარაკეს ა. ქოჩიაშვილის მუშაობის შესახებ, მის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე და გამოთქვეს სურვილი, რომ ასეთი ღონისძიებები შემდეგშიაც ჩატარდეს.

**თ. აბშილავა,**
„მგზს"-ის სპეც. კორ.

# მილიცია და რაზმელები



საკურორტო ქალაქ ბორჯომში არ წყდება დამსვენებელთა ნაკადი. ისინი მოხიბლულნი არიან ბუნების მშვენიერებით: ბურუსში დაკარგული მაღალი თოვლიანი მთებით, რომლებიც ქალაქს გარშემო არტყია და რა თქმა უნდა მსოფლიოში ცნობილ მთთხილამურეთა საყვარელი დაბით — ბაკურიანით.

სულ ახლახან აქ დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა, როგორც ყოველთვის, აჩვენეს უმაღლესი კლასი.

ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებს ეკისრებათ. ქალაქისა და მის შემოგარენში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ამ დავალებას ბორჯომელი რაიგანყოფილების მუშაკები წარმატებით ართმევენ თავს. ეს მიღწეულია რაიგანყოფილების რიგითი და ხელმძღვანელი მუშაკების მთლიანი ძალებისა და ცოდნის მობილიზაციით, საზოგადოებრივ აქტივთან მჭიდრო კონტაქტის მეშვეობით. სახალხო რაზმელთა შტაბის ნაყოფიერი მუშაობით, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომის მდივანი ა. მოსიძე. ამ დღეებში მან რაიგანყოფილების მუშაკებთან ჩაატარა თათბირი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საზოგადოებასთან საქმიანი კავშირის დამყარების საკითხს.

## 30 წელი ხალხის სამსახურში

წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების რიგითი მილიციელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი, მილიციის უფროსი სერჟანტი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე სალია 30 წელია დაუღალავად დგას ხალხთა კეთილდღეობის სადარაჯოზე, ფხიზლად იცავს მშრომელთა სიმშვიდესა და პირად ქონებას ბოროტი ადამიანების ხელყოფისაგან.

ორგანოში სამუშაოდ მოსვლის პირველსავე დღიდან სალია კეთილსინდისიერად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ასევე პარტიულ დავალებებს, სისტემატურად ზრუნავს რაიგანყოფილების კეთილმოწყობისათვის. მისი ინიციატივით განყოფილების ეზოში დარგულია წიწვიანი ჯიშის მცენარეები, მშვენივრად გააფორმა სკვერი ეზოს შუაგულში და თვალისჩინივით უვლის მას. „როგორც საკუთარ შვილებს, ისე დასტრიალებსო თავს თითეულ ხეს" — ხშირად იტყვიან ხოლმე მასზე ახალგაზრდა კოლეგები და სიყვარულით შეავლებენ თვალს ჭარმაგი მეურნის ნახელავს. იტყვიან და არც სცდებიან — რაიონში მას იცნობენ, როგორც კარგ მოჭირნახულეს, ბედნიერი ოჯახის მამას, შვილებისა და შვილიშვილების საუკეთესო აღმზრდელს, გულისხმიერ მეზობელს.

საქმის ერთგული, დაუღალავი მუშაკი გაახრებული და უშიშარი მოქმედებისათვის არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული ხელმძღვანელობის მიერ, მიღებული აქვს ორდენები, მედლები, მადლობები და წახალისებები.

ამჟამად კ. სალიას 65 წელი შეუსრულდა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერგიით, დაუზარელად ემსახურება საყვარელ საქმეს, და სწორედ ამ დაუზარელი, ახალგაზრდული შემართებისათვის უყვართ იგი კოლეგებსაც და მოსახლეობასაც.

**ლ. ჟურულია,**
ჩვენი კორ.

# ფრონტელი მეგობარი

ილია ჯანჯალაშვილი ჩემი ფრონტელი მეგობარია. ჩვენ ერთად ვიბრძოდით ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ანაპის მისადგომებთან. 100 დღე-ღამის მანძილზე ქერჩის სრუტეში დატრიალებული ომის ქარცეცხლის სიმძიმე ერთნაირი შემართებით გადავიტანეთ სხვა ქართველ ვაჟკაცებთან ერთად. ომმა და ერთად გადატანილმა სიძნელეებმა დაგვამეგობრა მე და ილია. ორივეს გვერგო წილად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება. ჩვენი შემდგომი ცხოვრებაც ერთი გზით წარიმართა. ორივემ სახანძრო დაცვის ორგანოს მივაშურეთ. თბილისის მეორე სახანძრო ნაწილში მოვხვდით — ილიას ოცეული ჩააბარეს, მე ათეულის მეთაურობა მომანდეს. მას შემდეგ 20 წელიწადზე მეტი გავიდა. ილია ჯანჯალაშვილმა მრავალჯერ გამოიჩინა თავი, როგორც სახანძრო საქმის კარგმა მცოდნემ, უნარიანმა მეთაურმა და გულისხმიერმა ამხანაგმა. ისე, როგორც ომის წლებში, შემდეგაც — მშვიდობიანობის პერიოდში ხანძრების ქრობაშიც ბევრჯერ გამოგვიცდია ერთმანეთის ცოდნა და გამოცდილება. ილია ჯანჯალაშვილი საიმედო ამხანაგია, ის სავსებით ამართლებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას, მისი ყარაული ფრიადოსანია. ილია ახლა მეხუთე სახანძრო ნაწილში მუშაობს, როცა ჩვენს დედაქალაქს და მის გარეუბნებს სჭირდება, ჩვენ კვლავ მხარდამხარ ვიბრძვით, ვამაგრებთ ერთმანეთის საბრძოლო პოზიციებს და ერთსულოვნად ვაქრობთ ხანძრის გამძვინვარებულ სტიქიას. წინ კიდევ დიდი სავალი გზა გვაქვს, უფრო სრული და უფრო ნათელი. მთელი ჩვენი გამოცდილება თანამოსაქმე ახალბედებს, ჩვენი ცოდნა და უნარი დედაქალაქის ხანძრისაგან დაცვის კეთილშობილურ საქმეს, — ამ სულისკვეთებით ზრდის ილია ჯანჯალაშვილი თავის ხელქვეითებს, ეს აზრი გვამოძრავებს ჩვენც — მეორე სახანძრო ნაწილის მუშაკებს.

მაშ, მხარი მხარს ვუსწოროთ ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში, ჩემო თანაფრონტელო მეგობარო.

**ნ. იაშალაშვილი,**
ქ. თბილისის მეორე სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური, სერჟანტი.

# „დიდი" კომბინატორები

ხუთმა გულადმა გამდიდრება გადაწყვიტა. მაგრამ, როგორ?

როგორც წესი, ობივატელი ხელგაშლილია სახსრების გამოყენებაში და ხუთი „გულადიც" ასეთი... მათ ყველაზე მსუბუქი და... სამარცხვინო ბილიკი ირჩიეს სავალად.

გადაწყვიტეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქ. გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატიდან ესესხებინათ, უბრალოდ რომ ვთქვათ, აელოთ, მოეპარათ ქსოვილები.

კომბინატში არსებული უამრავი, მრავალფეროვანი ქსოვილები მოსვენებას არ აძლევდა. მათ, მოთმინება ელეოდათ.

საამქროების განლაგებას კარგად იცნობდნენ, ვინაიდან თვითონვე ამ წარმოებაში მუშაობდნენ. ოპერაცია კარგად მოფიქრებული და საიდუმლო საზოგადოების ხუთი წევრის მიერ იყო დამტკიცებული.

მათ შორის ყველა საჭირო პირი იყო — სამომსახურეო ავტობუსის მძღოლი გ. ცქრიალაშვილი (რომელსაც საქონელი უნდა გამოეტანა), დარაჯი ს. პურიჭამიაშვილი (რომელსაც უნდა გაეტარებინა ავტობუსი), სავუშაგო ცვლის უფროსი რ. თედეევი (ანუ ვთქვათ, ხელმძღვანელობა) და ორი ელექტრიკოსი გ. გელიაშვილი და რ. ხუციშვილი (რომლებიც შავი მუშის როლში უნდა გამოსულიყვნენ).

სხვანი არ ყოფილან და არც იყვნენ საჭირონი. ზედმეტი ადამიანი ნადავლის წილს ამცირებს. „თვითონვე გავართმევთ თავს" — გადაწყვიტეს მათ. შეამოწმეს საათები და თავ-თავისი გზით წავიდნენ.

ოპერაცია დანიშნული იქნა 4 დეკემბრისათვის, დილის 6 საათზე.

დათქმულ დროს ყველა ადგილზე იყო. ავტობუსი ნაპარავი საქონლით, რომლის საჭესაც გიორგი ალექსანდრეს ძე ცქრიალაშვილი უჯდა, აუჩქარებლად გამოვიდა კომბინატის ტერიტორიიდან.

კომბინატორები გულადები და თვითდაჯერებულნი იყვნენ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ეს მათი მეორე ცდა იყო, პირველმა წარმატებით ჩაიარა და ქურდებმა გადაწყვიტეს მიღწეულით არ დაკმაყოფილებულიყვნენ.

თვითეული დღე სულ უფრო და უფრო უძლიერებდათ გამორჩენის სურვილს.

დამნაშავეთა მეთაურები მგლებივით გახელდნენ, მათ სამოთხის ნეტარება ეხატებოდათ...

თავაწყვეტილი ობივატელის თავგასულობა — საშინელებაა, ისინი კი უკვე ობივატელები კი არა, გამხეცებული დამნაშავენი იყვნენ.

მათ კომბინატიდან გაიტაცეს 8.003 მანეთის ღირებულების 7.705 მეტრი ქსოვილი.

გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა დამნაშავენი შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

აღნიშნული საქმის გახსნისა და დამნაშავეთა დაკავების საქმეში ოპერატიულობა გამოიჩინეს: გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის მაიორმა ი. ასლანიშვილმა; უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ბ. მაისურაძემ, ინსპექტორებმა — უფროსმა ლეიტენანტმა ნ. გელაშვილმა, ლეიტენანტმა დ. თავდგირიძემ, ლეიტენანტმა ვ. ჯავახიძემ, საგზაო ავტოინსპექტორმა, მილიციის ლეიტენანტმა ა. ბატონისაშვილმა, უბნის ინსპექტორმა, მილიციის უმცროსმა ლეიტენანტმა რ. ალბუთაშვილმა, ბავშვთა ოთახის უფროსმა ინსპექტორმა გ. ერისთავმა და რიგითმა მილიციელებმა გ. კვირიკაშვილმა და ს. ნოზაძემ.

საინტერესოა შემდეგი — როგორ უყურებდა ყოველივე ამას ბამბეულის კომბინატის დირექცია, როგორ ვერ მიაქცია მან სათანადო ყურადღება საკუთარ კადრებს ან რას უყურებდა იმ დროს არასაუწყებო დაცვა, რომელსაც მცველს სავსებით დაეკარგა ადამიანური ღირსება და მოვალეობის გრძნობა, რომელსაც იცავდა ნაქურდალი ქსოვილის კომბინატიდან დაუბრკოლებლად გამოტანას?

სასამართლომ გ. გელიაშვილს და რ. ხუციშვილს 7 წლით, გ. ცქრიალაშვილსა და ს. პურიჭამიაშვილს — 6 წლით, ხოლო რ. თედეევს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**დ. ჩიკლაური,**
საქ. სსრ სოცსაკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ინსპექტორი.

**ი. კლეპერი,**
„მგზს"-ის სპეც. კორ.

# გ. პ. დანელია



გარდაიცვალა უფროსი ლეიტენანტი გიორგი პორფილეს ძე დანელია.

გ. პ. დანელია დაიბადა 1925 წ. ქალაქ ბათუმში.

1949 წელს მან დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1950 წლიდან გ. პ. დანელია მუშაობს საქართველოს ალკკ ლანჩხუთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1953 წელს იგი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1954 წელს გ. პ. დანელია დანიშნეს ლანჩხუთის რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორად.

1963 წლიდან უკანასკნელ დღემდე გ. პ. დანელია მუშაობდა ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებლად.

ნათელი ხსოვნა გამოცდილი გამომძიებლისა, ერთგული ამხანაგისა და პარტიის საქმისადმი თავდადებული ადამიანისა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# ი. ა. მაისურაძე



გარდაიცვალა მილიციის უმცროსი ლეიტენანტი იუზა არჩილის ძე მაისურაძე.

ი. ა. მაისურაძე დაიბადა 1940 წელს გურჯაანის რაიონში. 1959 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში.

1965 წლიდან ი. ა. მაისურაძე მუშაობდა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შინაგან საქმეთა განყოფილებაში საგზაო ზედამხედველობის უფროს ინსპექტორად. ინსპექტორად მუშაობისას ი. ა. მაისურაძე სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და ამხანაგების ნდობით. ყოველგვარ დავალებას ასრულებდა კეთილსინდისიერად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა განყოფილების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამხ. ი. მაისურაძე დაჯილდოებული იყო საიუბილეო მედლით „საბჭოთა მილიციის 50 წელი".

უმცროს ლეიტენანტ ი. ა. მაისურაძის ნათელ ხსოვნას დიდხანს შევინახავთ ჩვენს გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი**

# მადლობა საბჭოთა მილიციის მუშაკებს

ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქ. თბილისში, ტელმანის ქუჩა № 5-ში მცხოვრებ დავით წულუკიძის წერილი.

აი, რას გვწერს იგი:

ქ. ქუთაისში ვიმყოფებოდი სტუმრად, სადაც ჯიბიდან ამომაცალეს უბნის წიგნაკი, პასპორტი, მცირედი ფული და შემნახველი სალაროს წიგნაკი.

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელმა, მაიორმა ვ.-ი კ. ვაშაკიძემ ყოველგვარი ზომები მიიღო და მოპარული ნივთები უკლებლივ დამიბრუნა.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადასცეთ ამ გულისხმიერსა და კეთილშობილ ადამიანს.



სურათზე: უბნის ინსპექტორი ა. ქოჩიაშვილი საანგარიშო მოხსენებით გამოდის თავისი უბნის მცხოვრებთა წინაშე.

ფოტო მ. ბეკელისისა.

# ცხელ კვალზე

### მოძალადე ვერ გაექცა პასუხისმგებლობას

28 იანვარს, ღამის 12 საათზე, ტრამვაის ფარეხში, ტრამვაის მძღოლმა ე. ნაკაშიძემ, დაბადებულმა 1922 წ. ძალა იხმარა ქალზე ტ. გ.-ზე. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დამნაშავე დაკავებული იქნა. ე. ნაკაშიძის საქციელმა აღშფოთება გამოიწვია. ამით გაილანძღა მთელი კოლექტივი, რომელთა რიგებშიც მოკალათდა რამდენჯერმე ნასამართლევი ე. ნაკაშიძე. ჩანს მას დროზე ყურადღება არ მიაქციეს ამხანაგებმა და ვერ აღზარდეს იგი სათანადოდ.

### დამნაშავეს არავითარი შებრალება

ბოლნისის რაიონის სოფელ ქვეშის მცხოვრებმა ადიახაროვ ნასრედინ ყურბან ოღლიმ შესძლო მანქანის კაბინაში ჩაესვა 13 წლის გოგონა, მე-4 კლასის მოსწავლე გიულნაზა და მანქანაშივე მიაყენა შეურაცხყოფა.

ადიახაროვის საქმე ამჟამად ძიებაშია და იგი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

კანონი მკაცრად იმოქმედებს დამნაშავის მიმართ.

2500 „მგზ"

ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1970 წ.

# ვერ გაუფრთხილდნენ

სამმა მეგობარმა საცირკო წარმოდგენის ნახვა გადაწყვიტა. დაწყებამდე მცირე დრო რჩებოდა, მესამე მეგობარი კი არ ჩანდა. ტ. ჯობაძე და ი. ჩანგაშვილი ელოდებოდნენ ამხანაგს და სავსებით ვერ ამჩნევდნენ, რომ მათ სამი უცნობი უთვალთვალებდა. მერე ორი მათგანი მიუახლოვდა მეგობრებს და საუბრის გაბმას შეეცადნენ, შემდეგ თხოვეს მათ ლენინის ქ. № 68 სახლიდან გამოეძახებინათ მათი ნაცნობი ქალიშვილი. მეგობრებს უარი არ უთქვამთ, მაგრამ გზაში გადაიფიქრეს და გადაწყვიტეს სადარბაზოში აღარ შესულიყვნენ.

მაგრამ არც ისეთი იოლი გამოდგა მათგან თავის დაღწევა, უცნობები, რომლებიც აღმოჩნდნენ 1952 წელს დაბადებული გ. პატარაია და 1951 წელს დაბადებული კ. ჩორგოლაშვილი მუქარაზე გადავიდნენ და სადარბაზოსაკენ უბიძგებდნენ მათ

შეშინებული ჩანგაშვილი დაუსხლტა მათ, გაიქცა და გამვლელ ტროლეიბუსს შეახტა.

დამნაშავეები იქეთ-აქეთ ამოუდგნენ ტ. ჯობაძეს, ხელები გაუკავეს, ჩელუსკინელების ქუჩისაკენ წაიყვანეს და თან ემუქრებოდნენ, მოითხოვდნენ ფული მიეცა მათთვის. ერთ-ერთი მოძალადის ხელში რაღაც საგანმა გაიელვა, რომელიც ჯობაძეს დანად მოეჩვენა. მან ოთხი მანეთი ამოიღო. მძარცველები ამით არ დაკმაყოფილდნენ, ჯიბეები მოუჩხრიკეს თავიანთ მსხვერპლს და უკანასკნელი ხუთი მანეთიც ამოაცალეს. ამ დროს მათ მიუახლოვდა მესამე ამხანაგიც, რომელიც მოშორებით უთვალთვალებდა საქმის მსვლელობას, ეს იყო 1951 წელს დაბადებული თ. გოდიშვილი.

ამ დროს ტროლეიბუსით მიმავალმა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ოპერჯგუფის მუშაკმა ს. ინასარიძემ თვალი მოჰკრა აღნიშნულ სცენას. იგი ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და ჯობაძეს მიუახლოვდა.

შეშინებულმა და დაბნეულმა ჯობაძემ უამბო მას, როგორ იყო საქმე. ინასარიძემ შემხვედრი მანქანა გააჩერა და დამნაშავეებს კინოსტუდიასთან წამოეწია.





სამივენი დააკავეს. მათ აღმოუჩინეს მოზრდილი, პირგალესილი ლურსმანი, რომელსაც ისინი საჭირო სიტუაციის დროს ცივ იარაღად იყენებდნენ. დამნაშავეები სავსებით უარყოფდნენ ჩადენილ დანაშაულს, მით უმეტეს, რომ მათ წანართმევი ფული — ჯიბეში არ აღმოაჩნდათ.

ინასარიძე კვლავ დაბრუნდა იმ ადგილას, სადაც მძარცველები დააკავა. უკვე ბნელოდა. მაგრამ მან ჯიბის ფანრის საშუალებით მალე მიაგნო ფულს, რომელიც ბოროტმოქმედებმა ჯობაძეს წაართვეს და დაკავების დროს მოხერხებულად გადააგდეს. ეს მოხდა 1969 წლის 27 ოქტომბერს.

აღმოჩნდა, რომ ისინი ადრეც ეწეოდნენ მსგავს საქმეებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გველესიანი-ქართველიშვილის ბინის გაქურდვაში: ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ მათ რუდკოვების ბინაც.

გამომძიებელმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ დამნაშავეებს კავშირი ჰქონდათ ნაყინის გამყიდველ მ. არუთინოვასთან, რომელსაც აღმოუჩინეს დამნაშავეებისგან შესყიდული ზოგიერთი ნაპარავი ნივთი, ხოლო ზოგიერთი ნივთები მან თავის შვილებსა და საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში მცხოვრებ ნათესავებს გაუნაწილა.

ამ საქმის გამოძიებაში აქტიურად მონაწილეობდა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი ჟ. კინტრაია.

გამოძიების მთელს მსვლელობას წარმართავდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი ი. მახარაძე.

გ. პატარაია, თ. გოდიშვილი და კ. ჩორგოლაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

არასრულწლოვანი დამნაშავეების მფარველი და ხელისდამცლელი მ. არუთინოვა ასევე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

... დამნაშავეთა მშობლები და მახლობელი ადამიანები ეჭვგარეშეა ხედავდნენ, თუ როგორ ცხოვრებას ეწეოდნენ გ. პატარაია, ჩორგოლაშვილი და თ. გოდიშვილი, მაგრამ ვერ შესძლეს გაეკვლიათ გზა ყმაწვილების გულებისაკენ, გულხელდაკრეფილნი შესცქეროდნენ, თუ როგორ სცილდებოდნენ ისინი ცხოვრების ნამდვილ გზას. ვერ გაუფრთხილდნენ...

**ო. ჩაგიაშვილი,**
ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი;

**ი. დიმოვა,**
„მგზს"-ის კორ.

# აფიშა · რეკლამა · დოსიე

## კინო

ამ კვირას თბილისის ეკრანებზე შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი ფილმები: „სახიფათო გასტროლები" — ოდესის კინოსტუდიის ნაწარმოები, „სათამაშო ქალაქის სახლი" — კინოსტუდია „მაფილმის" ნაწარმოები, „ერთგულების ალი" — (იაპონია) „მოგიზგიზე კლდეების განძეული" — ე. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოები, „არ დაიდარდო" — კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები „ქართული ფილმის" მონაწილეობით.

### „მარტოდ მარტო ვამპირებთან"

— როგორ შეიძლება ასეთ რისკში თავის ჩაგდება? — შემეკითხნენ მეგობრები, სახეზე კი საშინელება ეხატათ — წერს ფრანგი ჟურნალისტი თავის სტატიაში „ამერიკული ავადმყოფობა", რომელიც გამოქვეყნდა პარიზის გაზეთ „ფრანს სუარში".

„მე გავედი დეტროიტის ქუჩებში საღამოს რვა საათზე, რათა მევახშმა რომელიმე ბარში. დრო და დრო მხვდებოდნენ მარტოდ-მარტო მიმავალი მგზავრები. ისინი თითქმის გარბოდნენ ფართო, კარგად განათებულ ქუჩებში, პოლიციელთა მანქანები, როდესაც გამითანაბრდებოდნენ აჩერებდნენ მანქანებს, ხოლო ერთმა პოლიციელმა კი მითხრა: „აქ სიარული საშიშია". ბოლოს მოვძებნე პატარა რესტორანი, მაგრამ არ მოინდომეს ჩემი მომსახურება. შეშინებულმა მეპატრონემ ფრანგ ჟურნალისტს განუცხადა „უკვე გვიანაა, მე ვკეტავ, არ მინდა, რომ აქ ბანდიტები შემოვარდნენ".

მეორე დღეს ევროპელმა ჟურნალისტმა მოუთხრო თავის ამერიკელ კოლეგებს დეტროიტის ქუჩებში ღამეს გადამხდარი ამბავი. მაშინ კი გაფითრდნენ მეგობრები. შეიძლებოდა ფრანგს თავისი ქარაფშუტობა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა.

პოლიცია უძლურია ნიუ-იორკშიც, პოლიციელები ღამით ჯგუფ-ჯგუფად დადიან ქუჩებში. ღამის გუშაგი შეიარაღებულია პორტატიული რადიოტელეფონით. საშიშროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ დასახმარებლად მოუხმონ მანქანას, რომელიც სავსეა შეიარაღებული პოლიციელებით.

პოლიცია უძლურია მიჩიგანის შტატშიც. ქალაქ ენ არბორსა და იფსილანტში უცნობმა პირმა მოკლა ექვსი გოგონა.

მარგარეტ ფილიპისი მხოლოდ 25 წლის იყო, იგი სწავლობდა ერთ-ერთ უნივერსიტეტში და გადაწყვიტა არ დაეშვა მეშვიდე მკვლელობა. დაიწყო გამოძიება და დაადგა სწორ კვალს... მაგრამ გახდა მეშვიდე იგი მოკლეს საკუთარ ოთახში.

მეზობელს ესმოდა: მარგარეტი ტელეფონით ვილაცას ელაპარაკებოდა, ცოტა ხნის შემდეგ კი გაისმა სროლის ხმა. ტელეფონით იგი თავის მკვლელს ელაპარაკა — აი, რა შეეძლო პოლიციას დაედგინა მხოლოდ.

ამერიკული პოლიცია უძლურია კოლორადოს შტატის დედაქალაქ დენვერში, ქალაქში, სადაც 10 წლის წინ არ კეტავდნენ კარებს. მასპინძელი სტუმარს მანქანამდე აცილებს, რათა იგი ერთი წუთითაც კი არ დატოვოს მარტო. ნიუ-იორკის, სან-ფრანცისკოს, ჩიკაგოს იმ რაიონებში, სადაც თავმოყრილია თეატრები, კინოთეატრები, მუზიკ-ჰოლები. საღამოობით ბევრი ხალხია, მაგრამ საკმარისია გადაუხვიოთ გვერდით 100-200 მეტრზე. რომ ვერც-ერთ ადამიანს ვერ შეხვდებით. იქ ხდება მკვლელობები. იქ იარაღით ხელში ხდება თავდასხმები — იუწყება „ფრანს სუარი"-სი.

ხიჩკოკმა (მრავალ ფილმ-საშინელებათა ავტორი) ამ ცოტა ხნის წინ კორესპონდენტებთან პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ყოველ საღამოს იგი თავის სახლში კარს შვიდნაირი გასაღებით კეტავს. ამასვე აკეთებს ამერიკის ქალაქების მოსახლეობის ორი მესამედი. საღამოს დადგომისთანავე ისინი ვერ ბედავენ ცხვირის გაყოფასაც კი გარეთ. ასეთ დასკვნამდე მივიდა ხარისი, რომელმაც ჩაატარა სხვადასხვა სახის გამოკითხვა მოსახლეობას შორის. მანვე დაადგინა, რომ ქალაქ ბალტიმორის მცხოვრებთა ნახევარი სიბნელის დადგომისთანავე გვერდს უვლიან ქალაქის პარკებსა და ბულვარებს.

რედაქტორი
**ვლ. ალფენიძე.**

გაზეთი გამოდის ქართულ („მებრძოლი გუშაგი") და რუსულ („ბოევოი სტრაჟ") ენებზე ყოველ ოთხშაბათს.

ჩვენი მისამართი: თბილისი — ბ. ერეკლე II მოედანი, № 1. ტელეფონები: რედაქტორი — 9-91-47-82, რედაქტორის მოადგილე — 9-91-49-58, პასუხისმგებელი მდივანი — 9-91-48-84; განყოფილებები: 1. პარტიული ცხოვრების; 2. მილიციის ორგანოების; 3 [illegible] გამომძიებლო ორგანოების; 4. საპატიმრო ადგილების ორგანოების; 5. სახანძრო დაცვის; 6. არასაუწყებო დაცვის; 7. კულტურის და ყოფაცხოვრების; 8. ინფორმაციის, ფელეტონისა და ნარკვევის; 9. წერილებისა და მასობრივი მუშაობის; 10 სახალხო რაზმეულების; 11 [illegible] ზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის; 12. ილუსტრაციის, საცნობარო ტელეფონია — 9-91-48-34; ბუღალტერია, განცხადებების მიღება — 9-91-48-84.

«МЕБРДЗОЛИ ГУШАГИ» ИНДЕКС 66484 — საქართველოს კპ-ის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04143.